ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4762105

ნომერი: AR1718820

თარიღი : 15.11.2019

გაცემის თარიღი : 22.11.2019

გაცნობის თარიღი : 22.11.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , N 22;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ მარი პ/ნ 01005000001
- თბილისი, ლუბლიანას ქ. #11

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 02 აგვისტოს №4615285 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 15 ნოემბრის №AR1718820 განცხადებით მომართა მიხეილ მარიმ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 02 აგვისტოს №4615285 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 02 აგვისტოს №4615285 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი დიდუბე, ქუჩა ბელიაშვილი, №2-ში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი N 01.13.02.010.085), შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული მრავალფუნქციური კომპლექსის მე-6 ბლოკის (მრავალფუნქციური შენობა) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 02 აგვისტოდან 2021 წლის 02 აგვისტოს ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2019 წლის 02 აგვისტოს №4615285 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი 21769.8 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 21700.5კვ.მ, საოფისე ფართობი 660.7 კვ.მ-ის ნაცვლად 656.8კვ.მ, საზაფხულო ფართობი 2739.2 კვ.მ-ის ნაცვლად 2813.3კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 5154.5 კვ.მ-ის ნაცვლად 5165.9 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობი 4218.9 კვ.მ-ის ნაცვლად 4219.4, საერთო ფართობი 38070.4 კვ.მ-ის ნაცვლად 38083.2 კვ.მ.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ საპროექტო გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება უბრალოდ გეგმებზე ხდება ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 02 აგვისტოს №4615285 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 02 აგვისტოს №4615285 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: საერთო ფართობად დაფიქსირდეს 38083.2კვ.მ, საცხოვრებელი ფართობად 21700.5 კვ.მ, საოფისე ფართობად 656.8კვ.მ, საზაფხულო ფართობი 2813.3კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 5165.9 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობი 4219.4.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 02 აგვისტოს №4615285 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს 2019 წლის 15 ნოემბრის №AR1718820 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 02 აგვისტოს №4615285 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 02 აგვისტოს №4615285 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.